საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარბითი

ბარბითი, ძვ. საქართველოში გავრცელებული სიმებიანი საკრავი. მოიხსენიება ვეფხისტყაოსანში („კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ჟღერა“), „როსტომიანში“ („იყო კარგი სიხარული, ბარბითისა ტკბილად ჟღერა“), შეესაბამება ბერძნ. ბარბიტონს და სპარს. ბარბათს. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, ბ. „მუღნია“ (განუმარტავია). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბ. საქართველოში საბერძნეთიდან უნდა იყოს შემოტანილი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ი. ჟორდანია